საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა: თბილისი, დაბეჭდნებული ავრების ქ. № 8 რედაქცია და კონტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღეს 2 და ნახ. საათების. ტელეფონი № 13—73. მისამართი ფოსტაზეისათვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

განცხადება: განცხადება მიიღება ნაშუადღეს 2 საათამდის. სტრიქონი 3ბ. ტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ. ერთჯერადი განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა: ფასი „საქართველოს" ქალაქში და ქალაქს გარეთ ერთის თვეში—600 მან. ცალკე № — 25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეშვიდე. ხუთშაბათი, იანვარს 6. 1921 № 4

ამ იანვარს 2 საათზედ ეკლესიის სასაფლაოზე იქნება მე-40 დღის პანაშვიდი

ივანე გიორგის ძის
ჯორჯაძის

სადღეგრძელ: რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებულის ქერეკი სოფლიდ: ოორთოსის ასული და ვეი გიორგი ივანეს ძე ჯორჯაძისი. 1—3370—1

თამარ ვასილის ასული შვილებით, ნინო ივანეს ასული, ვასილ და ანა ოუხანლები აუწყებენ გულდამწუხარეულნი ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დანაწყლეთი ოარპოვის პანაშვიდი განსვენებულის პატრეული ძვირფას მეუღლისა, მეოთხე შვილის და უკანასკნელთა სიბოლის

სამსონ მიხეილიჩის
ფალავანდიშვილისა

საფლავზე ალიკელში 8 იანვარს. შაბათს.

შვილები: ფიფინა-ოდ ფალავანდიშვილი, ფარონ დავ. ს. ბ. ბეგდანიშელისა, ეკატერინე თარანაშვილის ასული ფალავანდიშვილისა სიძე ალექსანდრე ეიორიკის ძე ავალიშვილი და შვილიშვილები: თამარი და გიორგი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ბანგარეული ავადმყოფობის შემდეგ ბარფალიკალა მათთვის ძვირფასი

რაჰიელ დიმიტრის ასული ამირეჯიბი
ფალავანდიშვილისა

პანაშვიდები ყოველ დღე საკეთილ. ბინაზე (ვუნანის ქუჩ. № 56 ცხენერის გამოსვლენება ხვალ ფიფ. 9 საათ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაკრძალვა ამავე საფლავის გალეკანაში. 1—3349—1

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ალექსანდრე რევაზის ძე ვაჩნაძე

რასაც აუწყებენ ამაუწყებენ დანი და ძმანი: ოფლია რევაზის ასული ჯავრიდანა, დარია ოფლის ასული ვანაძე, ივანე ოფლის ძე, სიმონ ოფლის ძე, მიხეილ ოფლის ძე და გიორგი ოფლის ძე ვანაძეები ნათესავებს და ნაცნობებს. დასაფლავება ზუთშაბათს 6 იანვარ თბ. ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. 10 საათზედ. 1—3347—1

მეუღლე პეტრე ნიკოლოზის ძე ციხისთავიშვილი, ძმები სერგეი და ივანე ნიკოლოზის ძე ციხისთავიშვილები და დები მარიამ ნიკოლოზის ასული ციხისთავიშვილი, თინათინა ნიკოლოზის ასული ციხისთავიშვილისა და ანა ნიკოლოზის ასული ციხისთავიანისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ავერის 9 იანვარს ქ. თელავში ლეონიდეს ეკლესიაში ერთ ფარდაფილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუფიქრეთ

ელისაბედ ლიზა ნიკოლოზის ასული
ციხისთავიშვილის

სულის მოსასენებელად. 1—4344—1

იანვრის 7-დან ქ. ქუთაისში გამოვა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეკოველდღიური გაზეთი

ეროვნულ-დემოკრატი.

რა-სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებული

კონფერენცია

1. კონფერენციის იწვეს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული და რადიკალ დემოკრატიული პარტიები.
2. კონფერენციაზ გაიმართება საქართ ოიელოს, დღეა-ქალაქში თბილისში 1921 წლის იანვრის 23-ს, და გაგრძელდეს 3 დღე.
3. კონფერენციაზ გამოსაგზავნი დელეგატები აირჩევიან ადგილობრივ არა-სოციალისტურ პარტიათა ორგანიზაციის წევრთა შეერ თვლელ კრებაზედ, პროგრესულად.
4. თითეული დელეგატი აირჩევა ორას პარტიულ წევრზე, ხოლო არა უმეტეს 1 დელეგატისა არა სოციალისტური პარტიების მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ყოველ სამას ხმაზე.
5. ამ კონფერენციის მიზეზთო, თანამხმად მთავარი კომიტეტების ცნობებისა, საერთო რიცხვი დელეგატებისა ნაგარადგენი 140 კაცი, გარდა თითეული კომიტეტების წევრებისა
6. კონფერენციის წევრთა აირჩევენს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სპეციალურ ან საერთო კომიტეტები, თანამხმად ამავე ინსტრუქციის მე-4 მეხლისა
7. დელეგატების აირჩევნის შესახებ მთელ რიგრიგი სდგება 1 საათიდან ოქმი, რომელსაც ხელს ეწერ აწერენენ ის რაიონში არსებული არა სოციალისტური დემოკ ატიული ორგანიზაციები.
8. ყოველი დელეგატი უნარუნველყოფილი იქნება ბინით.
9. კონფერენციის მოწვევის საქმე ხელ ძღვანელობს ცენტრალური საკონფერენციო კომისია, რომელიც შედგენილია ზემოხსენებულ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენელთაგან.

მისამართია: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის მდივნ.

კონფერენციის წესრიგი.

1.

განცხადება ცენტრალური საკონფერენციო კომისიის პარტიათა გეერთიანების შესახებ და ამ განცხადებაზ განმარტებანი პარტიათა წარმომადგენელთა მიერ

2.

მოხსენებანი მომხსენებ შესახებ: 1) საშინაო მდგომარეობა, 2) საგარეო მდგომარეობა და 3. კონომიური მდგომარეობა.

3.

1. პროგრამა და წესდება, 2. საარჩევნო მეშვიდობა, 3. არჩევნები მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა

საკონფერენციო კომისია.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი ოპერა-ტრადიციონალურ-ოპერეტიანელის ქუჩ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, იანვარს 15-ს (პრემიერა)

პირველად

მარიამ მაგდალინელი

ვლ. ალეგეი-მეტროვიჩის მიზანსცენებით.

მონაწილეობენ ბეთელ დასი

მსახიერ სცენაში. ხარო.

მორეგი რეჟისორი ზ. ბერეზოვილი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამ წარმოდგენისათვის ალეგეი ბილეთები 8 იანვრის თარიღით გამოდგება 15 იანვარს.

სახელმწიფო ოპერა

ბილეთ — საღამო

შაბათს

8 იანვარს **ოპერეტა** და ხორეოგრაფიის ეტიუდი კვირას

9 იანვარს **ფაუსტი** და **ვალპურგიის ღამე**

მეშვიდესათვის ოპერა

ტოსკა

ქიზელი და ხორეოგრაფიის ეტიუდი.

და სწყისი დილის 12 საათ. საღამოს 8 საათზე

განცხადება

ბატონ პატივი ამით ვაუწყო ვრონბათა, კოოპერატივია, საკეთილ. და საბრეწველო დაწესებულებებს, რომ ჩემს მიერ გაცხადებული იქნა 1921 წლის პირველ იანვრიდან

საპატრიოტ. საბაგენტო-საკომისიო

კონტორა

ა. ს. ლორთქიფანიძისა,

რომელიც ბოთეგებულია ადამეულებელ კრების ქ. № 5, მეორე სართულში, თბილისის კოოპერატივთა კავშირის კვერდზე.

მიღებულია შემდეგი საქონელი:

შაბათიანი ინგლისური ფეხსაცმელი ხარისხისა;
ნიმეფური (ნაშალტარი) „ „
ბერძენი-ბერძენი ბერძენული მარკისა;
ეკეს ძაფები;
ინანი ფეხსაცმელი ხარისხისა;
ბელის ფაბრიკა ოდესისა;
ფაბრიკული ფალი და სხვ.

ფასები ყველა ფასონებზე დანიშნულია მანეშაში.

კონტორა ღია არის დილის 10 საათიდან ნაშუადღეს 3 ნახევარ საათამდე.

პატივისცემით ა. ს. ლორთქიფანიძე.

3—3340—2.

ვინაიდან წარსულ შაბათს და მომავალ შაბათს უქმეების გამო ქალაქის საბაჭოს სხდომა ვერ შეხდება, საბაჭოს თავმჯდომარის განკარგულებით სხდომა დანიშნულია

ხუთშაბათს, 6 იანვარს.

ქალაქის მეიჯარე აპ. ცუბამლაძე.



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი ბაზრის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თბილ ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

სეზონი 1920—1921 წლისა

სახელმწიფო დრამის თეატრი

სეზონი 1920—1921 წლისა

საღამოსასწაულო რეპერტუარი

დილით

შაბათს, იანვრის 8-ს
შეშვიდეს
გუშინდელნი
ბავშვებისათვის

შაბათს, ინვრის 15-ს
კოტეს დანაშაული 6. ნაკაშიანისა
შვორეულ

მეოთხეულ — შაბათს, იანვრის 8
ალლუმი

მეოთხეულ — კვირას ინვრის 9-ს
მსხვერპლი

სამშაბათს ინვრის 11-ს
მეხუთეულ
ალლუმი

ხუთშაბათს, ინვრის 12-ს
მეექვსეულ
ბერდო-ზმანია

პირველად — შაბათს, ინვრის 15-ს
მარიამ მაგდალინელი
ვლ. ალეგეი-მეტროვიჩის მიზანსცენებით

კვირას, ინვრის 16-ს
მეექვსეულ
ალლუმი

საღამოს

ღრმად მწუხარენი: დედა დესპინა გიორგის ასული, მამა დავით ზექანის ძე, ბიცოლა მინდია გლახუას ასული, ბიძა ნიკო ბეჟანის ძე ჩხეიძეები და ცოლი ელენე სამსონის ასული ჩხეიძისა აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 8 იანვარს ამა წლისა, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი სოფ. დიდ-ჯიხაიში (ქუთ. მაზ.) უდროოთ მოსკოვს გადაცვლილის ძვირფასის

ნიკოლოზ (კოლია) დავითის ძის

ჩხეიძის

სულის მოსახსენებლად.

1—3371—1.

დღეს

ბოლშევიკური ცნობით საბჭოთა რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 40 პროც. შემცირდა.

საბერძნეთში რევოლიუცია დაიწყო.

მექსიკის პრეზიდენტი მოჰკლეს.

საქართველოში ჩამოვიდა გერმანიის წარმომადგენელი.

ევგ. გეგეჭკორი ლოიდ-ჯორჯთან სალაპარაკოდ ყოფ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ანტანტა ცდილობს ინგლისეთ-ოსმალეთს შორის შეკვრას ბუფერი სახელმწიფო მოსულის ვილაიეთში.

წერილები:

მეთაური: ახალი ავანტიურა.

ფელეტონი: სპ. კედიას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში.

ფელეტონი: გ. გვაზავას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში.

ჩვენი კორესპონდენტები.

ახალი ავანტიურა.

ბეკზადიანმა საბჭოთა სომხეთის სახელით პროტესტი განაცხადა იმ შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც დამოუკიდებელმა სომხეთმა დასდო საქართველოსთან ნოემბრის 13-ს.

სომხეთს არასდროს დამოუკიდებელი პოლიტიკა არ უწარმოებია თავის მეზობლების მიმართ.

სომხეთის ყოფილი დაშნაკცაკანური მთავრობა ყოველთვის გარეშე ძალას ეყრდნობოდა თავის ქვეყნის ბედის გადასაწყვეტად; გარეშე ძალის საშუალებით იგი ცდილობდა მეზობლებთან სადავო საკითხების გადაჭრას და სხვის ხარჯზე თავის ტერიტორიის გაფართოებასაც.

ასე იქცევა სომხეთის საბჭოთა მთავრობაც, რომელიც მოსკოვის დირიჟორობით მოქმედებს. ჩვენი დამოკიდებულება სომხეთთან მუდამ იყო გულწრფელი და ეყრდნობოდა ერთის მხრივ საქართველოს პოლიტიკურ ინტერესს, რომელიც უწინარეს ყოვლისა შეიცავს კეთილ მეზობლურ განწყობილებას ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და მეორეს მხრივ ამიერ კავკასიის ერთა დიდი ხნით ნანატრ მისწრაფებას: მშვიდობიანობას და დამოუკიდებლობას. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება მეზობლებთან მუდამ გულისხმობდა უცხოთა ჩარევის უარყოფას, რა სახითაც უნდა მომხდარიყო იგი.

ამ ჩვენს პოლიტიკას საუბედუროთ არ იზიარებდნენ ჩვენი მეზობლების შეუგნებელი ელემენტები, რომელთა სულისკვეთება ძირიან ფესვიან დ ეწინააღმდეგებოდა როგორც ქართველი ხალხის, ისე ამიერ-კავკასიის ყველა ერთა პოლიტიკურ მისწრაფებებს. სწორედ ეს შეუგნებელი ელემენტები ხელში ჩაიგდეს უცხო ძალებმა და ისინი გამოიყენეს თავიანთი იმპერიალისტური ზრახვებისათვის. ასე მოხდა 1918 წელს აზერბაიჯანში ნური ფაშის შესვლით.

არა გვგონია აზერბაიჯანი დღეს კმაყოფილი იყოს იმ შედეგებით, რომელიც მოჰყვა ამ ნაბიჯს.

აზერბაიჯანის მეთაურების ღალატმა საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მაშინ განსაცდელში ჩააგდო მთელი ამიერ-კავკასია; და თუ ეს უკანასკნელი იმ ხანებში ხიფათს გადაურჩა, ეს ქართველი ხალხის პოლიტიკურ ალღოს და შეგნებას უნდა მიეწეროს.

მეორე ღალატი საკუთარი ქვეყნისა და მთელი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისადმი გახლდათ ბოლშევიკ იმპერიალისტთა შემოშვება აზერბაიჯანში, რამაც უწინარეს ყოვლისა გაანადგურა ეკონომიურად და მოსპო პოლიტიკურად თვით აზერბაიჯანის ხალხი, ხოლო მერე ასეთივე უბედურება მოუვლინა სომხის ხალხსაც.

პოლიტიკური სიმტკიცე თავის დღეში არ იქნება იმ ხალხში, სადაც პოლიტიკური ორიენტაციის ხიმძიმის ცენტრს ერის გარეშე დაეძებენ. ამის საუკეთესო მაგალითს სომხეთი და ნაწილობრივ აზერბაიჯანი იძლევა.

განა უცხოეთის ძალთა ჩარევის შედეგი არ არის ეხლანდელი სომხეთის და აზერბეიჯანის მდგომარეობა?

განა უცხოეთის ძალთა ჩარევის ვარაუდით არ არის დაწერილი ბეკზადიანის ნოტა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება სომხეთის ძველი მთავრობისა და საქართველოს შორის დადებულ შეთანხმებას.

განა ჰუსეინოვის უკანასკნელი ნოტა რაიმე პრინციპიალურ მოსაზრებას ეყრდნობა?

ზაქათალის ოლქი, მთელი ბორჩალო, თუნდაც მოსკოვის მთავრობის ოფიციალური ხელშეკრულებით, განა ჩვენი უდავო კუთვნილება არ არის?

თუ ეხლა ჰუსეინოვი და ბეკზადიანი ბაქო და ერევანი, პრეტენზიების გუნებაზე მოსულან,—ეს ისევ შედეგია იმ შეუგნებელ ელემენტთა უპასუხისმგებებელო ზეგავლენისა, რომელთათვის არაა სავალდებულო არავითარი საერთაშორისო აქტები და შეთანხმებანი და რომელნიც არც საკუთარი ქვეყნის თავისუფლებას დაგიდევენ და არც სხვის თავისუფლებას ჰგუობენ.

მაგრამ არის ერთი რამ, რომლის წინაშე ეს თავის ქვეყნის ორგულნი ყოველთვის ქედს მოიხრიან—ეს არის უხეში ძალა, რომელსაც მათთვის მეტი მნიშვნელობა და შთაგონების ძალა აქვს, ვიდრე უფლებათა ნორმებს და სახელმწიფოებრივ მოსაზრებათ.

უხეში ძალის იმედი მიეცათ ამ ახალი იფორმაციის „პიგმეიურ იმპერიალისტებს" ბოლშევიკური ხელისუფლების დამკვიდრებით სომხეთ აზერბაიჯანში...

ავანტიურამ დაამარცხა და დაშალა მერყევი რესპუბლიკები აზერბაიჯანისა და სომხეთის.

ეხლაც ავანტიურით ფიქრობენ საქართველოს ხარჯზე თავიანთი დაკარგული ბედნიერების დაბრუნებას.

ეს არის გაგრძელება იმ უაზრო პოლიტიკისა, რომელმაც დაამხო აზერბაიჯანი და სომხეთი. საქართველო მაინც შესძლებს თავის თავის დაცვას, ხოლო აზერბაიჯანი და სომხეთი კიდევ უფრო მაგრად დაიდგამენ კისერზედ რუსეთის უღელს, თუ სცადეს და ამ ახალ ავანტიურაში გადავარდნენ.

ამას ისა სჯობია, რომ თავი მოუყაროთ გაბნეულ ეროვნულ ძალებს და ერთმანეთის დახმარებით გადაიგდოთ ის მონობის უღელი, რომელიც ხელახლავ კისერზედ დააწვა საცოდავ სომხისა და აზერბაიჯანის ხალხს.

კავკასია გასაღებია აღმოსავლეთისა.

(წერილი გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფის ჭანრი ბუიდასა)

„ჩვენი ინტერესების დასაცავად ოსმალეთში, საჭიროა დაუყონებლივ გადაისინჯოს სევრის ხელშეკრულობა და ხაჭიროა იმიტომ, რომ შევინახოთ და დავიცვათ ის მაინც, რაც გადარჩა ყოფილ რუსეთიდან—შევინახოთ კავკასია.

ჩვენ მოგველის დიდი საფრთხე—შეერთება ბოლშევიკებისა ოსმალებთან,—რაც ბოლოს მოუღებს საფრანგეთის მუსულმანურ ახალშენებს. თავი რომ დავანებოთ იმ შეცდომებს, რომელიც ოსმალეთში მოგვივიდა, ჩვენ სრულიად დავივიწყეთ კავკასია. და აი, ჩვენ წინ დგას მთელი საკითხი ნაცინალიზმისა.

როგორც უკანასკნელი დროის დავირვება გვიჩვენებს, რუსეთის რღვევა შედეგია ჩვენი სრული უცოდინარობისა რუსეთის საქმეში. ჩვენ თავის დღეში დროზე ვერ ჩავერეოდით ხოლმე რუსეთის საქმეში.

რევოლიუციის დაწყების პირველი დღეებიდანვე სჩანდა, რომ რუსეთი ვერ მიიღებდა ხსნას თავის გულიდან—მოსკოვიდან. ერთად ერთი სალი ნაწილები იყვნენ ის განაპირა ქვეყნები, რომლებიც რუსეთს შეუერთდენ—ბალტიის ზღვიდან დაწყებული კავკასიამდე. საჭირო იყო სწორედ ამ განაპირა ქვეყნების გამოქომაგება და მოწყობა ფედერატიულად. მოკავშირეთა მოქმედება ყოველთვის უდროო და ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო, რისთვისაც მან ვერ შეინახა ცოცხალი ძალები და მთელი რუსეთი ბოლშევიკების ხრწნილების ასპარეზად გადააქცია. რუსეთის სხვა და სხვა ერებს, ისე როგორც ცენტრალურ ევროპასაც, დიდი იმედი ჰქონდა საფრანგეთისა, მაგრამ საფრანგეთმა ეს იმედი ვერ გაუმართლა და ვერც მიუხვდა გულისთქმას. იმისდა მიუხედავად რომ უზარმაზარ რუსეთს მოარულივით მოედო ბოლშევიკური ხრწნილება, მისმა ერებმა მაინც მოახერხეს და შექმნეს სამი დიდი ცენტრი: ჩრდილოეთით ბალტიის სახელმწიფოები, შუაში—უკრაინა და სამხრეთით კავკასია. ბალტიის სახელმწიფოებში საფრანგეთი აკეთებდა რა შეცდომას შეცდომაზე, ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ეს სახელმწიფოები ინგლისს ჩაუვარდო ხელში. უკრაინაში 4 მილიონმა გლეხობამ მოახერხა და თავი დააღწია ბოლშევიკებს, მაგრამ ჩვენ ის მივიტოვეთ პოლონელებს, რომლებიც პოლშევიკებზე უფრო ეჯავრებათ აქედან გამომდინარეობს ორმაგი სისუსტე: დასუსტება პოლონეთისა, რომელმაც მუდმივ უნდა ებრძოლოს მტრულად განწყობილ მკვიდრთ და გამარჯვება ბოლშევიზმისა, რომელსაც უკრაინის დატანჯული ნაციონალისტები ველარ უმკლავდებიან.

დარჩა კავკასია, მაგრამ ჩვენ, მგონია, მზად ვართ დაუთმოთ იგი არა მარტო ბოლშევიკებს, არამედ ოსმალებსაც—კი. საკმარისია დავხედოთ რუქას, რომ პრობლემამ ნათელი შეიქმნეს. შავ—ზღვა სა და კასპის ზღვის შორის გადაჭიმულია ხუთი სხვა და სხვა ეროვნების სახელმწიფო, რომლებიც ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ჩრდილოეთით ყუბანი და ჩრდილო კავკასია, სამხრეთით საქართველო და აზერბეიჯანი, ხოლო უფრო სამხრეთით სომხეთი. მიწა წყალი ამ სახელმწიფოებისა უდრის 600,000 კვად. კილომეტრს, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი აღემატება 20 მილიონს.

უმრავლესობა მაჰმადიანობაა და განთქმულია ვაჟკაცობით. ამ ქვეყნების დაპყრობას რუსეთმა 60 წელიწადი მოანდომა. ეკონომიური მხრით,—კავკასია ოქროს მადანია, აქ უთვალავი რაოდენობაა პურისა (ყუბანი), დაუშრეტელი წყაროებია ნავთისა (აზერბეიჯანი) უმდიდრესი სამადნო ადგილებია (საქართველო). დიახ, ძალზე მდიდარია კავკასია, მაგრამ რა გავუკეთოთ ჩვენ? სრულიად არაფერი, პირიქით ბევრში შევუშალეთ კიდეც ხელი!

ამ ხალხებს რომ სათანადოდ შეეჩერებინათ ბოლშევიზმის მსვლელობა ჩვენ უნდა გვეცნო მათი დამოუკიდებლობა და ხელი შეგვეწყო მათ თვით გამორკვევისათვის...

ეროვნული გრძნობა აქ იმდენად განვითარებულია, რომ მარტო ეს კმარა და ანარქიასთან საბრძოლველად.

ის ნახევარ—ღმერთები, რომლებიც მსოფლიოს ბედ-იღბალს სწყვეტდენ პარიზში, ძალიან გულგრილად შეხვდენ კავკასიის წარმომადგენლებს და სამშვიდობო კონფერენციაზე რიგიანად არც კი მოუსმინეს. შედეგმაც აღარ დაიგვიანა, ანტანტამ არ შეიწყნარა დამოუკიდებლობა ჩრდილო კავკასიისა, იმ ქვეყნისა. რომელსაც შეეძლო გზა მოეჭრა რუსეთისათვის ბაქოსაკენ და აი მოვიდნენ ბოლშევიკები და დაიპყრეს როგორც ბაქო, ისე აზერბეიჯანი. ერთი მთიელი არ გამოსულა მათ დასახვედრად და ბოლშევიკებისათვის საკმაო შეიქნა 520 ჯარის კაცი და ერთი ჯავშნიანი მატარებელი, რამ აიღოთ ნავთის სამეფო და დაემონებინათ 4 მილიონი მუსულმანი. ყველა ეს წარსული საქმეა, მაგრამ რა ხდება ახლა? ეს სახელმწიფოები თხოულობდნენ ჟენევაში მიეღოთ იგინი ერთა ლიგაში. დაუსრულებელ მითქმა მოთქმისა და მოლაპარაკების შემდეგ ნება მისცეს მიეღოთ მონაწილეობა მხოლოდ ტეხნიკურ კომისიებში, ყოველ გვარ რეალურ უფლების გარეშე. ასე მოიქცენ საქართველოსა და სომხეთს, ხოლო აზერბაიჯანს ესეც არ აკადრეს. ჩრდილო კავკასია ხომ არც კი გახსენებიათ. ამ გვარ დამოკიდებულებით ჩვენ ბევრი რამ დავკარგეთ, მაგრამ შეცდომის გასწორება კიდევ შეიძლება. საჭიროა დაუყონებლივ შევუდგეთ მოქმედებას. ყოველი წუთი ძვირფასია, მაგრამ კიდევ ორი სამი კვირით აპირებენ საჭირო საკითხების გადადებას. ამ სამი თვის წინად ანგორის მთავრობა სულ 30 ბოლშევიკს თუ დაითვლიდა, დღეს ასამდე ჰყავთ, ხოლო ხვალ შეიძლება ყველა ბოლშევიკებს მიემხროს.

ასეთია ჩვენი პოლიტიკა რუსეთსა და აღმოსავლეთში. ჩვენ ყოველთვის ვიგვიანებთ. საჭიროა დაუყონებლივ შევუთანხმდეთ ქემალ ფაშას ოსმალეთის მოსანადირებლად და ჩვენ მხარეზე გადმოსასვლელად. საჭიროა შევუკავშირდეთ მას, ვიცნოთ დაუყონებლივ დამოუკიდებლობა კავკასიის ერებისა და თუ დაგვიანებული არ არის შევაკავშიროთ იგინი ფედერატიულად და შევაერთოთ ქრისტიანები მუსულმანებთან.

უსარგებლო იქნება ოსმალეთთან ზავი, თუ ხალხი, ხორბალი, ნავთი, სამხედრო იარაღი თავისუფლად გადაიგზავნება რუსეთიდან ანგორაში დაღესტანისა და აზარბაიჯანის გზით. როცა საქმე ეხება ანატოლიის დამშვიდებას უმდიდრეს ქვეყნებს ანარქიის კლანჭებიდან დახსნას, მაშინ უპირველესად ყოვლისა საჭიროა კავკასიის გარდაქმნა.

გერმანიას ეს კარგად ესმოდა და ჯერ კიდევ 1917 წელს იმპერატორმა ვილჰელმა გამოიწვია ბერლინში ფუად ფაშა და წინადადება მისცა მოეწყო კავკასიის ერთა ფედერაცია. ბერლინის ზეგავლე-

[illegible]

საქართველო და ანტანტა.

[illegible]

გეგეჭკორი ლოიდ-ჯორჯთან.

[illegible]

გერმანიის წარმომადგენლის ჩამოსვლა.

[illegible]

საბჭოთა სომხეთის ნოტა საქართველოსადმი.

[illegible]

დეპეშები.

ს. დ. ს. ს. გ. ცნობები.

[illegible]

რუსეთის ცნობები.

[illegible]

ფრანგული ცნობები.

[illegible]

რომში. იგი წინადადებას აძლევს მოკავშირეთა მთავრობების მეთაურებს, შეიკრიბონ თათბირზე, რაც შეიძლება ჩქარა.

სამხედრო მდგომარეობა რუმინეთში.

თანახმათ „ტანის“ მიერ გამოქვეყნებულ ცნობებისა, ხმები იმის შესახებ, თითქოს რუმინეთის მთავრობა აცხადებს სათადარიგო ჯარისკაცთა ნაწილობრივ მობილიზაციას ბოლშევიკურ საფრთხის გამო, სინამდვილეს არ შეეფერება. რუმინეთის მთავრობამ მიიღო ზომები თავის საზღვრების ფარგლებში თანახმად სუვერენულ სახელმწიფოს უფლებისა. გენერალურმა შტაბმა ერთგულ თავდაცვის ამ ზომის მიღება აუცილებლად აღიარა. ეს ზომები მიღებული იყო 5 კვირის წინეთ, როდესაც ბოლშევიკების მხრიდან არავითარი საფრთხე არ იყო. არ არის მართალი აგრეთვე ცნობა, თითქოს რკინის გზები სამხედრო მდგომარეობაში იყოს მოყვანილი. მთავრობამ გადაწყვიტა მიეღო ეს ზომები შემხდარ გაფიცვების გამო. გენ. იანესკო რკინის გზათა დირექტორად დაინიშნა.

გერმანიის სამხედრო ძალა.

ოფიციალურად მტკიცდება, რომ გერმანიის ჯარს, რომელიც ამ ჟამად თანახმად ვერსალის ხელშეკრულებისა, მხოლოდ 100,000 კაცისაგან შესდგება, არ აქვს არც მძიმე არტილერია და არც საფრენი აპარატები. 50.000 ზარბაზანი, 5 მილიონი ვინტოვკა და 60,000 ტყვიის მფრქვეველი განადგურებულია. 14.000 ჰაეროპლანი და 26.000 მოტორი გადაეცა ანტანტას. გერმანიის სიმაგრეები დასავლეთის ფრონტზე სრულიად განადგურებულია. ანტანტა მოითხოვს სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრებზე არსებულ სიმაგრეების დანგრევას, რაც ეწინააღმდეგება საზავო ხელშეკრულებას და გერმანიის საშიშ მდგომარეობაში აგდებს. „პტი პარიზიენი“ აღნიშნავს, რომ გერმანია ასეთი სუსტი არას დროს არ ყოფილა; მას უფრო მცირე რიცხოვანი ჯარი ჰყავს, ვიდრე პორტუგალიას, ან საბერძნეთს.

რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში მყოფი სრულ უფლებიან წარმომადგენელთან არსებულ ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენიდან.

ინგლისის გეგმა.

ტრაპეზუნდი. დეკემბ. 26. ანგორის მთავრობის ცნობით ინგლისს განზრახული აქვს ოსმალეთსა და ინდოეთს შორის ბუფერულ სახელმწიფოს შექმნა, რომელმაც უნდა შეაკავოს ინდოეთში ქემალისტების შესვლის შესაძლებლობა. ინგლისელებს ამ მიზნით დაკავებული აქვთ მოსული და სულეიმანიე, სადაც ჰფიქრობენ დამოუკიდებელ ქურთისტანის შექმნას. მეორე ბარიერად განზრახულია ირაკის შექმნა. ბუფერის შექმნის გეგმა მინდობილი აქვს პოლკოვნიკ ნოელს.

რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.

მოსკოვი. 4. (რადიო). რუსეთ ფინეთს შორის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის გაცვლა გამოცვლა მოხდა ნარკომინდელის დარბაზში.

ფინეთის დელეგაცია შესდგებოდა სახელმწიფო მრჩეველის აგონენისა, პროფესორის ვოიმას და მათი მდივნებისაგან. ყველა ფორმულურ მხარეთა დამთავრების შემდეგ აგონენამ მოკლე სიტყვით მიმართა ორივე მხარეს საზავო ხელშეკრულებათა აგრე ნაყოფიერად ფინეთის დელეგაციის სახელით მან განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ ჩვენს შორის სხვა მრავალ საკითხთა გადაჭრა სავსებით ადვილი საქმეა. მან განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ფინეთის ხალხი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ რუსეთ ფინეთის მეგობრული განწყობილება იქნებოდა აუცილებელი პირობა ამ ორი ქვეყნის წარმატებისა. ფინეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ეს ხელშეკრულება, რომელიც ემყარება ორივე ქვეყნის ურთიერთისადმი პატივისცემაზე, სავსებით უზრუნველჰყოფს მათს განვითარებას მომავალში. თავის მხრით ფინეთის მთავრობა მზადაა პირნათლად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

ახალი ამბავი

სამ(ი)ნ სტრიქებში

— განმანათლებელი მოქმედება დატუსაღებულთა შორის. იუსტიციის სამინისტრომ დამფუძნებელ კრებას განსახილველად წარუდგინა პროექტი დატუსაღებულთა შორის განმანათლებელ მოქმედების გაფართოების შესახებ. იუსტიციის სამინისტრო ფიქრობს დაარსოს სატუსაღოებთან სასწავლებლები, სამკითხველოები და მოაწყოს სისტემატიური კითხვა ლექციებისა და საუბრისა. მოხსენებათა მიზანია-პატიმართა ზნეობივათ გარდაქმნა. ცოდნის შეძენა მისცემს დატუსაღებულებს საშვალებას დაიწყონ განთავისუფლების შემდეგ ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მუშაობა.

გარდა ამისა განზრახულია ფიზიკური შრომის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

— გადასახლების საქმის მოწესრიგება. მიწად მოქმედების სამინისტრომ დაამუშავა საკითხი გადასახადების საქმის მოწესრიგების შესახებ. ამ მოხსენებაში მიწად მოქმედების მინისტრი თხოულობს 300 მილ. მანეთის სესხად მიცემას, რესპუბლიკის ფარგლებში გადასახლებულ თათვის დახმარების აღმოსაჩენად. მიწად მოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს დაასახლოს ქართულ ელემენტებით ზაქათალის ოლქის მოსაზღვრე ადგილები და ელდარათისა და შირაქის ველები და შემდეგ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში არსებული თავისუფალი ადგილები. მიწად მოქმედების სამინისტროს განმარტებით ხარჯთის დასკვნისათვის ფინანსთა სამინისტროს გადაეცა.

სხვა და სხვა.

— ფოსტა-ტელეგრაფის საქმე. ზანის (ზუგდიდის მაზრა) ფოსტის განყოფილებასთან ა. წ. იანვრის პირველიდან გაიხსნა ტელეგრაფის განყოფილებაც. ურთიერთი გაცვლა კორესპონდენციისა ხდება ხორში ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებასთან.

— ქართულ-ფრანგულ სავაჭრო პალატაში. აბრეშუმის თესლის საფრანგეთის მრეწველთა და ექსპორტიორთა სინდიკატმა ქართულფრანგულ სავაჭრო პალატას მიმართა წერილით, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ თანახმად საფრანგეთის პრესის ცნობისა საქართველოში აბრეშუმის თესლის გამოტანაზე მონოპოლია არსდება. ამიტომ სინდიკატი სთხოვს პალატას აღძრას საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, მიეცეს თესლის გაყიდვისა და გამოტანის უფლება საფრანგეთის ყველა მოქალაქეს, მიუხედავათ იმისა შეკავშირებულნი თუ არა მათი წარმოებები.

ახალი წელი საზმანიოში

(თითქო-სინამდვილე)

საზმანიოში ეს რამდენიმე ხანია ჩამოვარდნილი იყო მშვიდობიანობა. მკვიდრთ ძლივს ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქეს, და შესდგომოდენ კიდეც აღშენებლობას, რათა ბევრი ომისა და რყევის შემდეგ შეექმნათ დიადი საკაცობრიო საქმე.

სახელმწიფოში ყველა ეწეოდა სამჯერო შრომას, სხვას რომ არ ჩამორჩენილიყო.

მეზობლებიც თითქოს მიწყნარებულიყვნენ, თუმცა აქა იქ გაისმოდა გაუჩქმეველი ბუზღუნი. ზმანიელები თვისას არავის ანებებდენ და არც სხვისას ეტანებოდენ.

კერძო საკუთრების მოსპობის აკენ იყო მიმართული აღმშენებლობა, თუმცა ჯერ ჯერობით სახელმწიფოს საკუთარ მიწა წყალს მედგრად იცავდენ, ეჭვგარეშეა, იმ იმედით, რომ დანარჩენ ხალხთა სახელმწიფოებიც უდრეკად იდგენ ამ ნიადაგზე.

აი სწორედ ამ საზმანიოში აპირებდენ განსაკუთრებით მხიარულად შეხვედროდენ პირველ მშვიდობიან ახალწელიწადს თავისუფლების შემდეგ.

დიდი მზადება იყო ქალაქში. არ დარჩენილიყო თითქმის არც ერთი სახლი, სადაც მეგობრული წვეულება არ ყოფილიყო გამართული. ამ წვეულებასაც რაღაც უჩვეულო ფერი ჰქონდა გადაკრული. საჭმელ-სასმელი თითქოს უფრო თანაბრად იყო განაწილებული, ვიდრე სხვა დროს. ერთი სუფრა მეორეს არა სჯობდა, თუმცა, რასაკვირველია, უსწორ-მასწორობა სიმდიდრის განაწილებაში, საუბედუროდ, ჯერ კიდევ მოსჩანდა.

საახალწლოდ ხელოდ ერთი ძველი ჩვეულება იყო აკრძალული. ეს იყო სროლა. წინად ხშირად ამგვარ დღესასწაულის დროს ბევრი მსხვერპლი უცაბედად და უაზროდ ესალმებოდა წუთისოფელს და ახალი მთავრობა აქამდინ მაინც შეუგნებელ მკვიდრს ოდნავ ზესამჩნევი იძულებით აჩვევდა წესიერების პატივისცემას.

ლხინმა მთელს ქალაქში რიგრიგ მდის გასტანა. კარგი ტაროსიც ხელს უწყობდა საერთო მხიარულებას.

ჯარების ბინაზედაც დიდი მოლხენა სუფევდა. ცალკე მთავრობა, ცალკე მხედართა ნათესავ მეგობრებს ბლომად მოეგროვებინათ ჯარისკაცთა საახალწლო სუფრაზე ყოველგვარი სანოვაგე.

კარგი სასმელები კარგ გუნებაზე აყენებდა მოლხენთ.

მრავალი სადღეგრძელო, მრავალი სიტყვა, ნაირ ნაირი სიმღერა და ცეკვა საერთო ლხინს აძლიერებდა და ჰქმნიდა წარმტაც სოლცნებო სამყოფელს.

აი ლხინმა მიაღწია უმწვერვალეს წერტილს და მხედრობა, თავდავიწყებული როგორც ერთი კაცი, რაღაცა მანქანებით ამოძრავებული, სწვდა იარაღს, გამოვარდა ბინიდან და ასტეხა საშინელი სროლა.

შეშფოთდა მთელი ქალაქი... ყველანი ზეზე წამოვარდენ, ზოგი სუფრიდან ზოგიც ლოგინიდან.

მკვიდრის მშიშარა ფიქრმა, დამფრთხალმა წარმოდგენამ თავისი ჰქმნა.

შემოქმედებითი წამი დაუდგა ზღვარდადებულ, ჯერ კიდევ შებოჭილ მეწვრილმანის ოცნებას.

რა არ შეითხზა, რა არ იშვა ამ ერთ წამში!..

ძნელია ათვლა, აღწერა...

ამ დროს განსაკუთრებული შეშფოთება ემჩნეოდა ორ ბინას მთელ ქალაქში.

ერთი ეკუთვნოდა საზმანიოს ცნობილ მეწესეს, რომელიც გამომხატველი იყო ერთი მთლიანი სოციალური წესრიგის მომძლავრებისა.

მეორე კი სამეზობლო ხალხის რწმუნებულს, რომელიც მიმდევარი იყო სხვა სოციალურ მიმართულებისა.

ეს ორი მოწინააღმდეგე, ორი იდეიური ანტიპოდი ამ დროს ერთმანეთზე ჰფიქრობდენ.

მეორე ფიქრობდა პირველის ძლევას, ხოლო პირველი მეორის გალიხიანებას. ამ საიდუმლო ჰიდილს გარეგანი სახე თვალსაჩინოდ არ ჰქონდა გამოქედილი.

პირველი სცემდა მიზნის მისაღწევად განკარგულებას განკარგულებაზე. მეორეც გულხელ დაკრეფილი არ იყო.

პირველს აცხოველებდა ს[...]ის რაინდული სიყვარული, მისი ბედნიერება.

მეორე ემონებოდა თავის მომძლავრებისადმი ახალ ახალ ქვეყნების დამორჩილების ბრძანებას.

ორივე ერთ წარმტაც მიზნისკენ მიდიოდენ, მხოლოდ ერთი-ერთი გზით, მეორე-მეორეთი.

ერთი თითქო გვიანით, მეორე თითქო სწრაფით.

არც ერთს მათგანს კი არ შეეძლო წრფელად ეთქვა, რომელი გზა იყო უფრო სწორი და მართალი.

მაგრამ ერთი რამ კი იყო უეჭველი პირველის მხარეზე.

ეს ის, რომ არ ჰფიქრობდა სხვა ქვეყნების დაპყრობას, მოწინააღმდეგეთა ბანაკში გახვევას და ამ გზით მომძლავრების გავრცელებას.

ხოლო მეორე აი ახლაც ელოდა ამ დიდი სროლის დროს ადგილობრივი მთავრობის დამხობას. ახალი კი მზად ჰყავდა. მასთან ახლოს იყვნენ შეთქმულნი ვეზირს, მის ხელქვეით ამხანაგს, ჰქონდა ზოგი რამ მოწყობილ—დაწყებული სად, როდის რა უნდა მომხდარიყო, მხოლოდ თავის მეთვალყურეს უმალავდა დღეს და უმზადებდა ანაზდად ნოიათს.

ბევრჯელ მოტყუებულა ვეზირის უფროსი ამხანაგი, ბევრჯელ სისხამ დილას ამაოდ გული ასტოკებია, მაგრამ ვერ ჰღირსებია მისი სმენა საამო და საიმედო სროლის და ახმაურების გუგუნებას.

ახლა კი... როგორ ტკბილად ესმის ყურს ეს საშინელი სროლა.

აი სწორედ ახლა დადგა სანატრელი წამი!—ჰფიქრობს: აი საცაა შემოვა ვეზირი და მოახსენებს საამურ სიტყვებს:

— მობრძანდი სასახლეში და ქვეყანა აწ შენ ჰმართეო.

თან კი წყეული ეჭვი ჩასწივის ყურში:

— რა მოხდა, რომ აქამდის არ მოდის ერთგული მსახური—ამხანაგი?.. რა მიზეზია, რომ მის სახლიდანაც ელსმენზე არ მიპასუხებენ?!...

სროლა კი უფრო და უფრო ძლიერდება...

აი დაჰკრა კიდეც ცხრა საათმა, მაგრამ არაფერი საიმედო არ სჩანს. ხალხიც მიდი—მოდის ქუჩაში ჩვეულებრივად, სახე მოღიმარი.

თანდათან სროლაც სუსტდება...

ამ დროს უცებ გაისმა ელსმენის წკარუნი. იღებს ტილს და უსმენს:

— თქვენა ბრძანდებით, ამხანაგო? მომილოცნია ახალი წელი!

— დიახ, მე ვარ; რა ამბავია? ყველაფერი მოეწყო? მზადა ვართ?

— რა ამხანაგო? რა უნდა იყოს მზად? ყველაფერი დამზადებული ჰქონდა ჩვენს თავადებს. თქვენც იცნობთ ხომ? თუმცა მოწინააღმდეგე მიმართულებას ეკუთვნის, მაგრამ რა ვუყოთ წელიწადში ერთხელ მაინც შეიძლება დრო გაატაროს შენს არა—თანამოაზრეთახაც!... ჩვენებიც ყველანი იქ იყვნენ თქვენ არაფერი შეგატყობინეთ, რადგანაც ვიცოდით უქეიფოდ იმყოფებოდით.

—?!?!

ტყუილად ელოდა საპასუხო სიტყვებს ვეზირი.

უძილარი, ღონე—მიხდილი მისი უფროსი ამხანაგი იქვე ელსმენთან ჩაეშვა სავარძელში.

მისი მეტოქე კი არხეინათ ბოლთას სცემდა თავის ოთახში.

თუმცა იგიც უძილარი იყო, მაგრამ სახე უღიმოდა. მისი გეგმა შესრულდა უცილობლივ.

გახარებული იყო, ღამე რომ მშვიდობიანად ჩაიარა, წესიერება უფრო და უფრო მტკიცდებოდა საზმანიოში.

ეს ახარებდა ხალხის ნდობით აღჭურვილს.

თუმცა ერთხელ-ორჯელ აწყვეტ წამი აგემა დღევანდელ ღამემ: ეჭვი ეპარებოდა. ვინ თუ მოპირდაპირეს ულოცამა სხვადასხვანაირმა ზერხმა მიიზიდოს ზოგიერთი უკულმართნიო, მაგრამ ხალხის რწმენა, იმედი შორს სტყორცნიდა. ამ ოდნავ შემოპარულ ეჭვს და ხელ-ახლა მართვის ხალისს ჰპალებდა ხალხის რჩეულს.

ადგა მოცვეთილი სავარძლიდან, მივიდა სარკმელთან და გაიხედა ქუჩაში.

ხალხი მშვიდობიანად მიდი-მოდიოდა და არცკი ჰფიქრობდა, იყო თუ არა ვინმე საზმანიოში ამ ახალ წელიწად ღამეს, რომელიც გულის ფანცქალით სდარაჯობდა მის სიმშვიდეს და ხომ ვალ ბედნიერებას.

ბრილდი

ჩვენი კორესპონდენტები

ს. პატარძეული.

ამ უკანასკნელ ხანებში სოფლად დეზერტირების რიცხვი გახშირდა, რომლებიც თუმცა მართალია თავის დროზე და დანიშნულ ადგილას იყვნენ წარდგენილნი, მაგრამ შეხედავთ მეორე მესამე დღეს, ისევ სახლში მორბიან პატარ პატარა ბარათებით.

სამხედრო აღრიცხვის უფროსის კანცელარიიდან საქმის მწარმოებლისაგან „ცნობის“ სახით, რომელშიაც სწერია: „ესა თუ ის პირი უნდა გამოცხადდეს სამხედრო აღრიცხვის უფროსის კანცელარიაში სამი ან ოთხი დღის შემდეგ“. არც ბეჭედი აზის ბარათს და არც ოფიციალური ხასიათი აქვს. მაგრამ სულერთია ამგვარი ბარათით იგი სახლში ბრუნდება სამი დღით. ვადის გასვლამდე მათი ხელს ვერავინ ახლებს და შემდეგ თვითონაც მიიმალებიან, ან სხვა სოფელში მიდიან მოკეთეებში და იქ აფარებენ თავს, ან არა და სხედან სახლში და მოხელეებს არ ეჩვენებიან, ვიდრე თვითონ მოხელეები არ მივლენ და ძალით არ გამოიყვანენ და არ გამოუყენებენ ტფილისის გზას.

ამ მხრივ პატარძეული არავის ჩამორჩა. აქ უფრო მეტი დეზერტირები აღმოჩნდა. ეს მოვლენა, როგორც სენი, მოედვა ყველგან და შენიშნულია, რომ უმეტეს ნაწილად გამორბიან სამსახურიდან შეძლებული ოჯახის შვილები, რომლებსაც ყველაფერი წელი-მაგარი აქვთ და ყოველთვის ახერხებენ სამსახურიდან თავის დაღწევას.

უბედურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ამ დეზერტირებთან ბრძოლა იღებს შურის ძიების ხასიათს. ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ დაჭერილი და თავის ნაწილში გადაგზავნილი დეზერტირები, ორი სამი დღის შემდეგ ისევ სახლში დაბრუნებულან და თავიანთ დამჭერისთვის თივა ან ხაბძელი გადაუწვავთ. აი ამგვარ განსაცდელში დღეს სოფელი და, რომ ეს ამბავი გაძლიერდეს, მისთვის საჭიროა მთავრობამ გასცეს სასტიკი ბრძანება, რომ არავითარ შემთხვევაში სამხედრო აღრიცხვის უფროსის კანცელარიიდან არავითარი „ცნობა“ ბარათებზე არ აძლიონ მობილიზაციით მიყვანილ პირებს კომისიაში გასვლამდე, რის შემდეგ დეზერტირების რიცხვი თანდათან შემცირდება.

ეხლა კი პატარძეულში დეზერტირობის წინააღმდეგ მთელი საზოგადოების წარმომადგენლებმა არჩეულმა პირებმა ადგილობრივ თემის გამგეობის დასწრებით 19 დეკემბერს საერთო სხდომაზე დაადგინეს: „ჩამოვართვას მამულები სრულიად იმ პირს, რომელიც გაექცევა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს და დეზერტირად სახლში დაბრუნდება“ რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული, რის სისრულეში მოყვანაც ამა თუ იმ პირის შესახებ საერთო კრებამ დაავალა ადგილობრივ თემის გამგეობას.

გარდა ამისა ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი, როგორც ქალაქმა, ისე სოფელმაც გაუმაძღარ ჩარჩ სპეკულიანტებს. დღეს პატარძეულში ვინც კი ცოტათი თუ მეტად შეძლებულია, ყველა სპეკულიანტობს, ყველა ჩარჩობს, ყველა გამდიდრებას ელოდება. ამ სოფლის ეგოისტებს ცალი ფეხი სოფელში აქვთ, მეორე—ქალაქში. ამით თვალს ვერ გამოსჯობებენ რა. თავის დროზე ყველაფერს ყიდულობენ ჩალის ფასად, ინახავენ და მოუცდიან თუ არა ამბავი გაძვირებისა ამა თუ იმ ხაზოვნებს, მაშინ ბინებენ საჭიროთ ურმებით და ავლაბარში ჩუმად ფარულად ხდება ჩარჩების ყიდვა, რა თქმა უნდა, იმ დღეს არ სწყდებოდა ფასებში, მხოლოდ უკანასკნელში კი ალაგებენ ჩუმად სარდაფებში და მეორე მესამე დღეს ერთი ორად უმატებენ ფასს.

პატარძეულში ჩარჩ სპეკულიანტების უსვინდისობამ იქამდის მიაღწია, რომ ამას წინედ—ტფ. ერობიდან სოფელმა მიიღო ერთი ვაგონი სათესლე პური დასარიგებლად იმ ოჯახებისთვის, ვისაც სათესლე პური არ ჰქონდათ—და პური კი სპეკულიანტებს ჩაუვარდათ ხელში და ქალაქში ამოაყოლებინეს თავი, სადაც ჩუმად ეზოებში გაუყიდნათ ფუთი 5000 მან. იმ დროს, როდესაც თვით პატარძეულში ერობის მიერ დადებულ ფასებში 1900 მ. ფ. ჩაიგდეს ხელში.

საქმე ასე მოხდა. როგორც კომისია ამტკიცებს, ერობამ ერთი ვაგონი პური იერის სადგურზე (კახ. რკ. გზა) გადმოგზავნა ფასდებით, სამი დღის ვადა მისცეს გამოსაყიდისა და, რადგანაც პური ღარიბებისთვის იყო და ამ უკანასკნელთ ფული არ ჰქონდათ ხელთ, ადგილობრივი ჩარჩი სპეკულიანტები დამჭკრივდნენ მეზოკეთან კოოპერატივის საწყობში. დამრიგებელ კომისიას წინასწარ შედგენილი სია ჰქონდა, ვისთვისაც იყო გამოწერილი პური და, რადგანაც სულ ღარიბები იყვნენ შეტანილნი სიაში და მათ კი იმ ჟამად ფული არ ჰქონდათ ხელად, დამწკრივებულ სპეკულიანტებს მისცეს საშუალება სია

დამფუძნებელი კრება.

ქრისტეშობისთვის 31 ს სხდომა თავმჯდომარეობს. ალ. ლომთათიძე.

ქრ. შარაშიძის ასულის მოხსენებით მიღებული იქნა საბოლოო ტექსტები წინა სხდომაზე მიღებულ საკანონმდებლო აქტებისა. კ. გვარჯალაძე მოახსენებს კრებას პროექტს დეკრეტისა საქართველოს რესპუბლიკის ბონის 10. მილიარდი მან. ემისიისა.

ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი იძლევა განმარტებას წარმოდგენილ დეკრეტზე, აცნობს დამფუძნებელ კრებას მის ევროპაში ყოფნის დროს მიღწეულ შედეგებს. ჰპირდება დამფუძნებელ კრებას, რომ დღევანდელი ემისია იქნება უკანასკნელი, ვინაიდან ახლო მომავალში შემოღებულ იქნება საკუთარი ფულის სისტემა.

ივ. ლორთქიფანიძე (ს. რ.) აცხადებს რომ მისი ფრაქცია წინააღმდეგ მისცემს ხმას წარმოდგენილ დეკრეტს, ვინაიდან ახალი ბონების გამოშვება იქნება არა წამალი, არამედ საწამლავი ქვეყნისათვის.

გრ. რცხილაძე (ს. ფ.) მიუთითებს მთავრობას მრავალ ნაკლზე მის მიერ წარმოებულ ეკონომიურ პოლიტიკაში და ამბობს: რომ მთავრობას ეწარმოებია სალი პოლიტიკა ეკონომიურ სფეროში დღეს საჭირო არ იქნებოდა ახალი ბონების გამოშვება. ორატორი უწევს რა ანგარიშს მძიმე მდგომარეობას ქვეყნისა, აცხადებს რომ მისი ფრაქცია ხმას მისცემს წარმოდგენილ დეკრეტს.

ნკ. კედიას სიტყვა. არა მგონია იყოს მეორე ისეთი ბედნიერი საგანი, როგორიც არის ეს უბედური ემისიის საკითხი. ბედნიერია მით, რომ ეს საკითხი ყველას მიერ დაფასებულია უარყოფითად არ არის არცერთი ფრაქცია დამფუძნებელ კრებაში, რომელიც დღეს მომხრე იყოს ამ ემისიის მე რომ კერძოდ ვინმე მომხსენებელი დამეკითხოდა, აბა როგორ უყურებ ამ ემისიას მე, რათქმა უნდა, მას ამ საგანზე უარყოფით პასუხს მივცემდი და უარს ვეტყოდი, რომ ჩემის უფლებით ესარგებლა ემისიის გამოსაცემად.

მაგრამ ეს არის პრინციპიალური დამოკიდებულება საკითხისადმი. ეს ერთნაირი თეორიული შეხედულებაა, რომელიც, რათქმა უნდა, დამყარებულია რეალური ცხოვრების შესწავლაზე. მაგრამ მეორეა მიმდინარე ცხოვრების, რეალური პოლიტიკის ყოველწუთური მოთხოვნილება და საჭიროება. თუ ამ მხრივ შევხედავთ საკითხს, დავინახავთ, რომ ეს განზრახ ემისიის ერთი ნაწილი უნდა მოხმარდეს ჩვენ ჯარს; და როდესაც წამოყენებულია ასეთი დასაბუთება და გამართლება ემისიისა, თავისთავად აშკარაა, რომ არცერთი წევრი დამფუძნებელი კრებისა, ამ ემისიის წინააღმდეგ არ გაილაშქრებს და ვერც გაილაშქრებს.

(ვლ. მგელაძე: აბა ესერები რა ყოფილან, კაცო!)

ამიტომ ჩვენი ფრაქცია, ამ დეკრეტს ხმას მისცემს.

მაგრამ მეორეს მხრით 10 მილიარდიანი ემისია არც ისეთი უმნიშვნელო საქმეა რომ მის შესახებ პასუხის მგებელმა ფრაქციამ თავისი აზრი არ გამოსთქვას იქ, სადაც ამ ემისიამ განხორციელების უფლება და დასტური უნდა ჰპოვოს. ამ მოსაზრებით მინდა ზოგიერთი რამ მეც გაგიზიაროთ, აქ წარმოდგენილი დეკრეტის შესახებ. ამ დეკრეტით, მილიარდ ნახევარი უნდა მოხმარდეს, ერთდროულ თანხის სახით, ჩვენ ჯარს. ჯარი, როგორც მოგეხსენებათ, არავითარ ნივთიერ ღირებულებას არ ქმნის, მას უჭირავს ხელში იარაღი და ამ იარაღით იცავს სამშობლოს. ეს არის მისი პროფესია, მისი დანიშნულება, დღეს ჩვენი სამშობლო გართულებულ მდგომარეობაშია: ირგვლივ მტერი ახვევია და მან ფეხზე დააყენა მრავალ რიცხოვანი ჯარი, რომელსაც მოვლა და შენახვა უნდა. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ ეს ჯარი დაიცავს ჩვენ საზღვრებს და ჩვენ სამშობლოს. ეს კი, მე მგონია, მთავარი მიზანია, ჩვენი აქ ყოფნისა და არსებობისა. ამიტომ რა თქმა უნდა, ჩვენ სიტყვის შეუბრუნებლად, ამ მილიარდ ნახევარს გავიღებთ ჩვენი სახელოვანი ჯარის საჭიროებისათვის და გავიღებთ ყოველთვის, როდესაც ასეთი საჭიროება დაგვიდგება.

შემდეგ! ამ დეკრეტით 2 მილიარდ ნახევარი უნდა მოხმარდეს მუშათა მაგიდას. ეს პირველი შემთხვევა არ არის. ბევრი ასეული მილიონები მივეცით მუშათა მაგიდას. ეს მდგომარეობა არ არის ნორმალური. რა იმედი და რა ნუგეში შეიძლება მივსცეთ ჩვენს თავს, თუ ეს მდგომარეობა ასე გაგრძელდა! მე მოგახსენებთ, რაც შეეხება იმ ხარჯს რომელსაც ჯარი მოითხოვს, ჩვენ ის უნდა გავიღოთ მეთქი, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვი ასე დადებითად, ასე აბსოლუტურათ მუშათა მაგიდის თაობაზე და აი რატომ.

გამოდის რომ მუშა, რომელიც თავის ფიზიკურ ძალას ჰყიდის, თავის თავს და თავის ოჯახს, თავის ძალღონით ვერ არჩენს. და აი ამ მდგომარეობაში სახელმწიფო გამოდის დამხმარე და თავის ჯიბიდან იძლევა ფულს, რაც მუშას აკლია, იმას სახელმწიფო ავსებს თავისი ხაზინის ხარჯზე. აქ ბატონებო, დარღვეულია პრინციპი და კანონი ქვეყნის ეკონომიური არსებობისა, მუშა ვერ იკმაყოფილებს თავის მინიმალურ მოთხოვნილებას მუშა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, თავის „რეზონ დეტრს“. იმდენს ვერ ჰქმნის, რომ თავი ირჩინოს და მას, როგორც დავრდომილს ინახავს ჩვენი ღარიბი ხაზინა,—ეს მესამე წელიწადია.

აშკარაა, ბატონებო, რომ დარღვეულია ის ეკონომიური საძირკველი, რომელზედაც აგებულია მთელი ქვეყნის შენობა. ეს გარემოება ჩვენში ჯეროვნად დაფასებული არ არის.

ზოგიერთ მინისტრს ამით თავიც მოაქვს, ეს გარემოება ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის გამარჯვება ჰგონია; ნამდვილად კი ესაა სასაცილო დამარცხება და ფრონტის ხიფათიც, ბატონებო, ბოლოს და ბოლოს სწორედ აქ მარხია, ვიდრე სხვაგან სადმე.

ეს მდგომარეობა კი შექმნილია მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის მიმდინარეობით. და იმათ, ვინც პასუხის მგებელნი არიან თავიანთი პოლიტიკით ქვეყნის წინაშე, ბევრჯელ დავეკითხეთ, თუ როდის აპირებდენ იმ ძირითადი უკულმართობის ლიკვიდაციას, საიდგანაც წარმოსდგება მთელი ჩვენი სისუსტის მიზეზები.

ჩვენ თუ მოუხშირეთ ამგვარ დეკრეტებს შეუძლებელს გავხდით ჩვენი თვით არსებობის საქმეს.

ამიტომაც როგორც პრინციპიულად, ისე პრაქტიკულადაც შეუძლებელია და გაუმართლებელი ეს დაუსრულებელი ქაღალდის ბეჭდვა.

მე არ მგონია, რომ ეს ემისია—10 მილიარდი მანეთისა, უკანასკნელი და საბოლოო იყოს. მე მინდა დავიჯერო, რომ ყველა ის იმედი და დაპირება, რომელიც აქ ბატონმა ფინანსთა მინისტრმა დაგვიხატა, მართლაც და განხორციელდება.

მაგრამ, ბატონებო, ეს რომ კიდევაც განხორციელდეს, მათი ნაყოფი 2—3 წლის შემდეგ თუ იქნება ხორცშესხმული. ხოლო ამ 2—3 წლის განმავლობაში ჩვენ კიდევ უნდა ვარჯოთ და ვიარსებოთ. და თუ 2—3 წლის განმავლობაში დარჩა ძველი წესი და სისტემა, მაშინ ყოვლად შეუძლებელია რომ კიდევ ახალი ემისია არ დაგვჭირდეს.

რა საფუძველი მაქვს ვთქვა, რომ ეს ასე მოხდება და რომ ეს ემისია უკანასკნელი არ იქნება. ჩემი მოსაზრება გახლავთ შემდეგი: გასულ 1918, 1919 და 1920 წელს ჩვენ უფრო მეტი გვქონდა დაგროვილი სავალიუტო საქონელი, ვიდრე იგი 1921 წლის დამდეგისთვის; ესე იგი ის ნამდვილი გარანტია ფულის ნიშნებისა—სხვა და სხვა ნაწარმოები სამეურნეო, თუ სამრეწველო, ბევრად ნაკლები გვაქვს, ვიდრე გვქონდა 1918—1919 და 1920 წელს და ეს იმიტომ, რომ ჩვენ მოვიხმარეთ ის, რაც წინ წლებში გვქონდა დანზადებული და ამ მოხმარების ხნისა და პროცესის განმავლობაში ჩვენ ნაკლებს ვქმნით, ვიდრე ვხარჯავთ. ამნაირად ჩვენი ფულის ნიშნებს აკლდება მისი უზრუნველმყოფელი—სავალიუტო საქონელი; ცხადია ამიტომ, რომ ახალი გამოცემული ფული კიდევ უფრო დაეცემა, რადგან მით უფრო ნაკლები დარჩება მის უზრუნველმყოფელი სავალიუტო საქონელი.

თუ ეს ორი მომენტი ასე პარალელად, ასე შეწყობილად და შეთანხმებით განვითარდა, მაშინ ცხადია და აშკარა, რომ ჩვენ ემისიას ვერ ავსცდებით. (ვლ. მგელაძე: მართალია) თუ გვინდა ეს არ მოხდეს, უნდა დავაკმაყოფილოთ ეკონომიური მოქმედების ძირითადი საფუძველი: ჩვენ უნდა შევქმნათ მეტი, ვინემ ვხარჯავთ. დღემდე კი ასე არის: ჩვენ ვხარჯავთ მეტს, ვიდრე ვქმნით. ეს კი გამომდინარეობს ყალბ ეკონომიურ პოლიტიკას პრინციპიდან: ამ პრინციპის გადახედვას და გადასინჯვას აგერ 3 წელიწადია რომ მოვითხოვთ, მაგრამ ჩვენი ხმა ყოველთვის უნაყოფო რჩება.

როდესაც ეს ათი მილიარდიანი ემისია მიღებულ იქნება, და ფულის ბრძოლასაც შეუდგებით, კვლავ არეულიანი ცხოვრება დაიწყება ჩვენს უწყებებში და კიდევ ახალ ემისიას მოგვთხოვენ ისეთ დროს და ისეთი მიზეზების ძალით რომ უარის თქმა შეუძლებელი იქნება. ის და დაგვრჩენია, რომ ვისურვოთ, რომ ამდენი გაკვეთილების შემდეგ მაინც ჩვენმა მთავრობამ მიანებოს იმ პრინციპს, რომლის არცნობა და გზობა ზღუდის ჩვენს ეკონომიურ საფუძვლებს და, რომელიც შეუძლებელს ხდის ჩვენ ქვეყანაში მეტ წარმოებას და ნაკლებ ფლანგვას და ნაკლებ ხარჯვას.

—

ი. სალაყაიას სიტყვის და მომხსენებლის დასკვნის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა. წინააღმდეგ დეკრეტისა ხმა მისცა ს.-რევ. ფრაქციამ.

სხდომა დაიხურა ნაშუადღევის 4 საათზე.

კახელ მევენახეთა ამხანაგობა
„ივერია“

ფირმის მარკა.

(მთავარი საწყობი და კონტორა.)
ტფილისი, თამამშევის ქარვასლა.

ამხანაგობა „ივერია“-ში შედიან განსაკუთრებით კახეთის საუკეთესო ადგილების ვენახების პატრონნი სახელდობრ: კარდენახის, ბაკურციხის, ხირსის, იყალთოს და რუის პირის მევენახენი. ამხანაგობის მიზანია—უშუამავლოთ მიაწოდოს მომხმარებელს საკუთარი, ხარისხით საუკეთესო ნამდვილი კახური ბუნების ღვინო. ამხანაგობის წესდება დამტკიცებულია მთავრობის მიერ.

იანვარი

ძველი სტ. 24 დეკემბ. მთვარე 28 დღისაა.

6

ხუთშაბათი

მზე ამოდის 7—24 ჩადის 4—32

წ. ღმ. მოწ. ევგენისა მოწამეთა იაკინთე და კლავდიისა.

შემდეგი უქმე 7 და 8 იანვარს 4390

ოპერა: შაბათს, 8 იანვარს „კოპელია“

დრამა: 8 იანვარს დილით „გუშინდელნი“ საღამოთი. „ალლუმი“ მეოთხედ.

— — კალენდრის გამომცემლობისაგან — —

იმ ფირმებს და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებს, რომელთაც სურთ თავიანთი ფირმის განცხადება მოათავსონ კალენდარში უნდა მიმართონ „საქართველოს“ რედაქციას ან პირად ან ტელეფონით (15—73) გადმოსცენ თვის ადრესი და აგენტი ეახლება.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვების ოპერაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თემურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღის ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა № 3208.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეზხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემელის აფთიაქთან. ტელეფ. 18—95. 3228

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპ) ვიკვლევ მალეინის შეზხაპუნებით. ქიით ცხვრის ხასული—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიკაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეზხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება,
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასია ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ექიმი
ა. ე. ლევანშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჭრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4-7 საათამდე.

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეზხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3305 თვ.

...ში მოყოლილი პირების სახელით გაეტანათ პური შემდეგი სახით: სპეკულიანტებმა ფულები დაურიგეს ღარიბებს და გაატანიეს თავიანთ სახლში 4—5 ფ. თვითეულს. კარზე რო გამოქონდათ, იქვე ელოდებოდნენ ქურებით, ჩარჩები ართმევდნენ მეშოკებს და გამოხატანში აძლევდნენ თითოს 500—600 მან.

ს. ჩქაროთ გასაღდა მთელი პური იმ დღესვე და ივრის წისქვილებს მიაყარეს დასაფქვავად. აქაც, ჯერ თუმცა იმ დღეს იმათ არ შეხვდებოდათ, მაგრამ სქელი ჯიბე მძლეთა მძლე არის. დაფქვეს სასწრაფოდ და მეორე დღეს ეროვის სათესლე პური ფქვილად ქალაქის ბაზარზე იყიდებოდა 5000 მ. ფ. ადგილობრივ თემის ხმოსნებმა გაიგეს რა ეს ამბავი, დანიშნეს კომისია საქმის გამოსარკვევად, რომელმაც უკვე გამოარკვია ყველა სპეკულიანტების ვინაობა და მოქმედება. ხმოსნთა კრილობამ 26 დეკემბერს დაადგინა: ყველა ამ პურის საქმეში გარეულ სპეკულიანტებს ჩამოართვან მთელი პურის საფასური, როგორც ტფილისში გაყიდეს და გადაეცეს ადგილობრივ თემისა და ს. დ. ორგანიზაციის განკარგულებაში. საყურადღებოა ერთი გარემოება, კომისიის წევრებს სცოდნოდათ ამ სპეკულიანტების მოქმედება, მაგრამ ხმაც არ ამოუღიათ. რამ გააჩუმა ესენი, ღმერთმა იცით.

მეთვალყურე.

წერილი რედ. მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თუ შესაძლებელი იქნება, ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე ამ წერილს.

წ. წ. აპრილის პირველიდან დაწყებული უკვე ცხრა თვე შესრულდა რაც ავადმყოფობისაგან მტკავებული ვარ საწოლზე. რაც რამ მქონდა დაზოგილი და გადადებული შავის დღისათვის—ყოველი ეს დამეხარჯა ექიმებზე და წამალზე პირველსავე ხანებში. დადგა ისეთი წამიც, რომ წამლის ყიდვაც კი მიჭირდებოდა, თორე ექიმის მოწვევას რაღა მაფიქრებინებდა, თუმცა ავადმყოფობამ სრულიადაც არ მიკლო და ისევ მოითხოვდა დაჟინებულს და სისტემატიურს ექიმობას. და აი სწორედ ამ ანგარებით დავადებულ დროს გამომიჩნდა უანგარო და ღვთისნიერი ადამიანი—ექიმი ბესარიონ იროდიონის ძე ოქროპირიძე, რომელიც მარიამობისთვის ნახევრიდან ყოველ დღე, ხან დღეგამოშვებით დაიარებოდა ჩემთან აქამომდე ბებუთოვის ქუჩიდამ იზმაილოვის ქუჩაზე მწამლობდა უსასყიდლოთ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა და სცდილობდა ფეხზე დავეყენებინე. არც დრო, არც ამინდი, არც მანძილი არ აბრკოლებდა მას, მაგრამ მოხუცებულობა ჩემი, ბუნება სენისა და სისუსტე გულისა, რომელიც დამჩემდა ამ უკანასკნელ დროს და აუტანელი პირობანი ცხოვრებისა დიდათ უშლიდნენ ხელს ამ ჩემთვის თავგადადებულ ადამიანს, რომელიც ნათესავადაც კი არ მომხვდება, თავის მიზნის შესრულებაში.

ეხლ აგავეგე, რომ ეს ჩემი კეთილის მყოფელი ექიმი ბესარიონ იროდიონის ძე ოქროპირიძე გადასულა სხვა მხარეს სამსახურში. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, შეძლება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით (და თუ სხვა გაზეთებიც ინებებენ ამასდიდი მადლობელი ვიქნებოდი) ღრმესი და გულწრფელი მადლობა ვუძღვნა მას და ვუსურვო ახალ ადგილს სრმთელით და ბედნიერად ცხოვრება მისი უანგარო და გულმოდგინე ჩემდამი შრომისათვის.

მელანია.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ს. კედია.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ. სად 6—8 საათ. არის საწოლები. ყორდანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

გიორგი გვაზავას სიტყვა

დამფუძნებელ კრების კონსტიტუციის მრთავრობის შესახებ. *)

(სტენოგრამმა)

(დასასრული)

გ. გვაზავა. განვიხილოთ მეორე მოსაზრება. პრეზიდენტი შეიძლება ხანიფათო იყოს ეროვნული თავისუფლებისთვის. მგონი, ბ-ნ დადიანმა სთქვა თუ პრეზიდენტს მივეცით განსაკუთრებული უფლებები, შეიძლება მან გადატრიალება მოახდინოს და მეფედ გამოაცხადოს თავის თავი. ვინც ასე ჰფიქრობს, იმას არა აქვს სწორედი წარმოდგენა კაბინეტურ სისტემაზე, რაც ინდ დიდი უფლება არ ჰქონდეს პრეზიდენტს, იმას არაფერი არ შეუძლიან, ერთი ჯარის კაცის გამოწვევა, ერთი მოხელის გადაყენება, თუ მის განკარგულებას ხელს არ აწერს პასუხისმგებელი მინისტრი.

ქ. ჯაფარიძე. ნაპოლეონ მესამე

გ. გვაზავა. იქ სულ სხვა იყო—პლებისციტი—ყოველ განკარგულებას ხელს აწერს სათანადო მინისტრი და, თუ მისი მოქმედება პარლამენტს არ მოეწონება, უნდობლობას უცხადებს მასადა მაშინ მთელი კაბინეტი უნდა გადადგეს. მაშინ პრეზიდენტიც ვერაფერს იზამს. ბ-ნი ჯაფარიძე შემეკითხა—თუ პრეზიდენტს არაფერი შეუძლიან უმინისტროდ, რაღად გვინდათ აგეთი პრეზიდენტიო? ეს მოსწრებული აზრია, მაგრამ აი რაშია საქმე. უნდა გვახსოვდეს, რომ პრეზიდენტის მოღვაწეობა არ ამოიწურება მარტო უფლებრივი მომენტით. უფლებრივი მომენტი ძალიან მცირეა, ის ერთი წუთია, ეს ის მომენტია, როცა პრეზიდენტი ხელს აწერს რაიმე განკარგულებას ან ხელშეკრულებას, სულ სხვაა მისი პრესტიჟი, მისი ავტორიტეტი, რომელსაც ათასჯერ მეტი გავლენა აქვს ცხოვრებაზე, ვიდრე მის განკარგულებებს. აიღეთ საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც მუდმივ სწარმოებს. აქ უფლებრივი მომენტი იქნება ხელის მოწერა დადებულ პირობაზე, მაგრამ ამ მომენტამდე არის ვრცელი დრო პრეზიდენტის არა-უფლებრივი მოღვაწეობისა: მისი შეხვედრა, მოლაპარაკება, მეგობრული განწყობილების შექმნა, გავლენა მისი პრესტიჟის და ავტორიტეტისა. ამას აქვს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შინაური ცხოვრებისათვის. ეს ბ-ნ ნ. ჟორდანიამაც აღნიშნა. ჩვენში ხდება ბევრი უწესოება, საჭიროა მოისპოს ეს და დამყარდეს წესიერი ცხოვრება. ამ მიზნის... ბათ და დეკრეტებით. საჭიროა პიროვნულად ავტორიტეტი და პრესტიჟი სახელმწიფოს მეთაურისა, საჭიროა პრეზიდენტი.

გადავიდეთ შვეიცარიის მაგალითზე. იქ არ არის პრეზიდენტი, მაგრამ რითი აიხსნება ეს? ეს აიხსნება ორი მიზეზით — ერთი საშინაოა, მეორე—საგარეო. შინ, კანტონთა შორის ყოველთვის იყო ქიშპობა, თვითეული კანტონი ეჭვის თვალით უყურებდა მეორეს, ეშინოდა მისი გაძლიერების და ჰეგემონიისა. ამით აიხსნება ის, რომ კონსტიტუციით აკრძალულია, რომ ერთი კანტონიდან იყოს ორი მინისტრი ერთ და იმავე დროს. მით უფრო მიუღებელი იყო პრეზიდენტი, რომელსაც შეეძლო დიდი უპირატესობა შეექმნა თავის კანტონისათვის. უფრო მნიშვნელოვანია მეორე მიზეზი—საერთაშორისო მდგომარეობა შვეიცარიისა, რომელიც აღნიშნა ბ. ნ. ჟორდანიამ და მეც სხვებთან ვეთანხმები. შვეიცარია არ აწარმოებს საგარეო პოლიტიკას, ან თითქმის არ აწარმოებს, მისი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია, მისი ნეიტრალობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ვენის კონგრესზე, მას თავდასხმით არავინ ემუქრება და მისთვის საჭიროც არ არის მუდმივი ფხიზელი მეთვალყურე საგარეო პოლიტიკისა. ჩვენი მდგომარეობა სულ სხვაა, ჩვენ გარშემოხვეული ვართ მტრებით, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მუდამ ფხიზელი და ენერგიული საგარეო პოლიტიკა. „ამიტომ საჭიროა ისეთი კაცი, რომელიც აასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას და არა პრეზიდენტიო“ დაასკვნა ბ-ნ ნ. ჟორდანიამ. იგი სიმართლეს ამბობს, მაგრამ ეშინია არ დაფრთხეს ვისიმე აზროვნება, განსაკუთრებით მუშა ხალხისა. მაგრამ ჩვენ დამფუძნ. კრებაში ვართ და სიტყვების არ უნდა გვეშინოდეს. რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებებს, ამაზე დღეს არ მინდა ვილაპარაკო. ვილაპარაკებ მაშინ, თუ პრინციპიალურად მიღებულ იქმნა პრეზიდენტობა.

ჩვენის აზრით, პრეზიდენტი უნდა იყოს არჩეული ხალხის მიერ, სულ ერთია—პირდაპირი იქნება ხმის მიცემა, თუ ხარისხოვანი.

პრეზიდენტობასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტრუქცია. ის კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგინა ბ. ნ. ჟორდანიამ, ყოვლად მიუღებელია და აი რატომ. მისი აზრით, პარლამენტი ირჩევს ერთ პირს—თავმჯდომარეს, განსაზღვრულ ვადით, და ამ პირს ევალება მოწვევა დანარჩენი მინისტრებისა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. გამოდის, კრიზისის მათი თავმჯდომარე, რომელიც ვადით არის არჩეული და ვადის გასვლამდე გადაუყენებელია. მაგრამ თავმჯდომარე არის სწორედ ის პირი, რომელიც საზღვრავს პოლიტიკის ხაზს და მიმართულებას; უმთავრესი ბრალი პოლიტიკაში მიუძღვის სწორედ თავმჯდომარეს და ბ-ნ ნოეს კონცეპციით კი, ის კი არ მიდის, უნდა გადადგნენ მინისტრები. აქ არის ძირითადი წინააღმდეგობა. თუ ბ-ნ ჟორდანიას სურს, რომ იყოს პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე—ამაშია საკითხი—მაშინ მთელი კაბინეტი მისი თავმჯდომარესთან ერთად უნდა იყოს პასუხისმგებელი. აქ საშუალო ხაზის გამონახვა არ შეიძლება. ან უნდა იყოს პასუხისმგებელი სამინისტრო—ეს იქნება მაშინ პარლამენტარიზმი,—ან არ უნდა იყოს პასუხისმგებელი—და ეს იქნება მაშინ შვეიცარიული სისტემა. მაშ კითხვა ასე სდგას: რომელი სისტემა სჯობია ჩვენთვის? თვით ბ. ჟორდანიამ განაცხადა, ჩვენში უნდა იყოს სამინისტრო პოლიტიკური. ეს სწორი აზრია. თუ სამინისტრო პოლიტიკურია, აშკარაა, უნდა იყოს პოლიტიკური პასუხისმგებლობაც, რომელიც აუცილებლად უნდა გაიზიაროს მთავრობის თავმჯდომარემაც. ამნაირად, თუ პრინციპი პოლიტიკური პასუხისმგებლობისა შეწყნარებული იქნება, მაშინ კონსტრუქცია აღმასრულებელ ხელისუფლებისა იქნება კაბინეტური, ე. ი. იქნება პრეზიდენტი, ის არჩევს ერთ პირს იმისდა მიხედვით, თუ რანაირია განწყობილება პარლამენტში და ამ ერთ პირს ანდობს კაბინეტის შედგენას. მაშინ ეს მოწვეული პირი იქნება თავმჯდომარე, ის საზღვრავს პოლიტიკის ხაზს და მიმართულებას და ის არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე. მაშინ პარლამენტსაც ეძლევა თავისუფლება მსჯელობისა და დაფასებისა. აი ამას მიაქციეთ ყურადღება, ეს არის უმთავრესი მომენტი ამ კითხვის გარჩევაში. მოიგონეთ, რა ხდება პარლამენტარულ ქვეყნებში. როცა ჰდგება ახალი სამინისტრო, მას ყოველთვის ჰყავს უმრავლესობა პარლამენტში, მაგრამ გადის ხანი და ჰდგება კრიზისი—უმრავლესობა უკვე გადაიქცევა უმცირესობად. რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ იქ პარლამენტს შერჩენილი აქვს თავისუფლება მსჯელობის და დაფასებისა, პარლამენტი არ ერევა კაბინეტის შედგენაში, არ ერევა თავმჯდომარის არჩევაში, და ამიტომ ზნეობრივად თავისუფალია თავისუფლად დააფასოს მინისტრების მოღვაწეობა და პოლიტიკა. ბ-ნ ქ. ჯაფარიძემ სთქვა, რომ პარლამენტის კულისებში ყოველთვის ხდება მოლაპარაკება და შეთანხმება. მაგრამ კულისებში მოსვლას და აქტებს და არა კულისების მითქმა მოთქმას. როცა პარლამენტი გამოდის და თვითონ ირჩევს მინისტრებს ან მათ თავმჯდომარეს, როგორც შვეიცარიაში, იგი ჩაბორკილია თავის მოქმედებით, რადგანაც არჩევნები თვითონ არის აქტი ნებისყოფისა. აი ეს აქტი არჩევნებისა არის საფუძველი ერთნაირი პასუხისმგებლობის გაზიარებისა. ამიტომ პარლამენტი არ არის თავისუფალი, ეკარგება შესაძლებობა თავისუფალი მსჯელობის და დაფასებისა. ამიტომ შვეიცარიაში არ არის პასუხისმგებლობა მინისტრებისა და არც კრიზისები ჰხდება. იქ პარლამენტი, მინისტრების საშუალებით, თვითონ აწარმოებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. სულ სხვაა პარლამენტარულ ქვეყნებში: პარლამენტი ზნეობრივად და უფლებრივად თავისუფალია დააფასოს მოქმედება აღმასრულებელი ხელისუფლებისა. იგი არ ერევა არჩევანში და კაბინეტის შედგენაში. პრეზიდენტი იწვევს პირველ მინისტრს პარლამენტის ვოტუმის მიხედვით, მან უნდა შეადგინოს კაბინეტი და შემოიკრიბოს უმრავლესობა პარლამენტში. აგრე შედგენილი კაბინეტი ჰმუშაობს თავისუფლად თავის ინიციატივით და პასუხისმგებლობით. პარლამენტი კი, რომელიც ფორმალურად არ იყო გარეული კაბინეტის შედგენაში, ინარჩუნებს სრულს თავისუფლებას ამ კაბინეტის მოქმედების დაფასებაში. ამიტომ, თუ პარლამენტს არ მოეწონა რომელიმე ნაბიჯი მთავრობისა ან მისი პოლიტიკა, თავისუფლად იცვლის აზრს და უმრავლესობა შეიძლება შეიცვალოს უმცირესობით. აი რა შინაარსი იმალება კაბინეტურ სისტემაში. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენთვის აუცილებელია კაბინეტური სისტემა. ჩაუკვირდით ამას და დაინახავთ, რომ თქვენ ვერ აირჩევთ ვერც მინისტრებს და ვერც თავმჯდომარეს; თუ აირჩევთ, თქვენ არ გექნებათ თავისუფლება დააფასოთ მათი მოქმედება და გამოიტანოთ სათანადო ვოტუმი, ვინაიდგან ამ არჩევნებით თქვენ თვითონ იქნებით ჩაბორკილი გაიზიაროთ აღმასრულებელ ხელისუფლების პასუხისმგებლობა.

პასუხისმგებლობა მინისტრებისა არის გარანტია თავისუფლებისა. შვეიცარია კულტურული ქვეყანაა, იქ არის პატივისცემა პიროვნებისა. ერთერთი ჩვენი ამხანაგი ებლახან შეუბნებოდა: რა დღე დაგვადგა? ნიკოლოზის დროს არხეინად ცვედიოდი ქუჩაში, ეხლა კი არ ვიცი ვინ ჩამარტყამს თავში, მილიციელი, გვარდიელი თუ სხვა ვინმე. შვეიცარიაში რამდენიც რომ იაროთ მთებში თუ ტყეში, შიში ...

... მინისტრი უნდა იყოს პასუხისმგებელი, რომ შევინარჩუნოთ და დავიცვათ პიროვნული თავისუფლება.

ეხლა მინდა შევეხო სენატის უფლებას.

თავმჯდომარე. ბატონო ორატორო, თქვენი დრო დასრულდა.

ხმები. დაასრულოს, დაასრულოს.

თავმჯდომარე. განაგრძეთ.

გ. გვაზავა. ბატონებო, მე ვამტკიცებდი ჩემ პირველ სიტყვაში, რომ თავისუფლებას საფრთხე მოელის არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, არამედ კანონმდებელ ხელისუფლებისაგანაც.

პ. საყვარელიძე. მართალია.

გ. გვაზავა. თუ მართალია, უნდა უზრუნველვყოთ საკონსტიტუციო პრინციპები თავისუფლებისა. არ უნდა გამოიცეს ისეთი კანონი, რომელიც სცვლის კონსტიტუციას. სენატს უნდა დაევალოს არა მარტო კანონის ასრულება, არამედ კონსტიტუციის დაცვაც. ეს ჰნიშნავს იმას, რომ თუ გამოიცა ისეთი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სენატს უნდა ჰქონდეს უფლება უარჰყოს ასეთი კანონი და უპირატესობა მისცეს კონსტიტუციას. საკითხი მარტივია: შეიძლება კონსტიტუცია შეიცვალოს უბრალო კანონით, თუ არა? თუ არა, ვის უნდა ჰქონდეს უფლება მოგვცეს სათანადო განმარტება? ვინ უნდა სთქვას, რომ კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ამიტომ უარყოფილია. ბ-ნ ჯაფარიძემ სთქვა—ეს უფლება უნდა ეკუთვნოდეს პარლამენტსაო. მაგრამ უფლებრივი დავის გადაწყვეტა არ არის პარლამენტის ფუნქცია, ეს სასამართლოს საქმეა. უფლებრივი დავა ატყდება ხოლმე სასამართლოში და არა პარლამენტში, ამიტომ სასამართლომ უნდა სთქვას, ეწინააღმდეგება თუ არა ახალი კანონი საკონსტიტუციო პრინციპებს. თუ თქვენ არ მიიღებთ ამას, თუ არ მისცემთ ამ უფლებას სენატს, მაშინ უნდა ამოჰშალოთ მთელი ის თავი კონსტიტუციისა, რომელიც შეეხება მის გადასინჯვას. რა საჭიროა ეს ძნელი და რთული პროცედურა გადასინჯვისა, თუ ერთი დეკრეტით შეიძლება გამოსცვალოთ მთელი კონსტიტუცია?

პ. საყვარელიძე. სად არის ასეთი კონსტიტუცია?

გ. გვაზავა. ამერიკაში. მართალია, ეს ყველგან არ არის, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საჭიროა კონსტიტუციის დაცვა. თქვენ თუ გულწრფელად ემსახურებით ხალხს, თქვენ თვითონ უნდა დაუყენოთ დარაჯი ამ კონსტიტუციას და არ დაეტოვოთ ღია კარები, რომ პარლამენტის უმრავლესობას ჰქონდეს სასამართლოს? გადაუწყვიტოს სასჯელი თუ არა იმას, ვინც იქნება ახალი კანონის დამრღვევი, მაგრამ უფლება მისილი კონსტიტუციით? აი მაგალითი: ვთქვათ პარლამენტმა მიიღო კანონი ცენზურის დაწესებისა. მე ვეყრდნობი კონსტიტუციას და უცენზუროდ გამოვცემ გაზეთი. მიმცეს პასუხისგებაში, რა უნდა ჰქნას სასამართლომ: გაამართლოს ახალი კანონის მიხედვით, თუ გამამართლოს კონსტიტუციის ძალით? აი, გარკვეულად უნდა იყოს თქმული, რომ კონსტიტუციას ყოველთვის ეძლევა უპირატესობა.—კიდევ მაგალითი. უმრავლესობა ზოგრად ისე ტირანიულია, როგორც უმცირესობა. ვთქვათ თქვენ მიიღეთ დეკრეტი დაიხუროს ყველა ეროვნულ დემოკრატიული გაზეთები.

სპ. კედია. ეს რამიშვილმა უკვე განახორციელა.

გ. გვაზავა. მე გეკითხებით, უფლებრივ სახელმწიფოში ეს შესაძლებელია? არ უნდა იყოს სამართალი?! არ უნდა ჰქონდეს უმცირესობას შესაძლოება სასამართლოს წესით აღადგინოს თავისი უფლებანი? ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სენატს ექნება უფლება უარჰყოს ისეთი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

პ. საყვარელიძე. სენატმა რომ გლახად განმარტოს?

სპ. კედია. მაშინ ღმერთს უნდა მივმართოთ.

გ. გვაზავა. თუ პირველი ინსტანცია შეცდება, არის მეორე, შემდეგ—მესამე. ეს ზედი-ზედ მეთვალყურეობა სრულებით საკმარისია: შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ინსტანციები შეცდებიან.

პ. საყვარელიძე. ამერიკაში სისტემატიურად სცდებიან.

გ. გვაზავა. არა იქ სისტემატიურად იცავენ თავისუფლებას. ჩვენც აქ ერთი წესი უნდა მივიღოთ. უამისოდ თქვენი კონსტიტუცია არ იქნება ხანგრძლივი (ხმაურობა). ამიტომ კიდევ მოგახსენებთ უნდა იყოს რაიმე გარანტია.

პ. საყვარელიძე. სადაური გარანტია? არსად არ არის გარანტია.

გ. გვაზავა. არ არის, მაგრამ შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში ლომბეგი არა აქვთ შემოვლებული ბაღებს, ტოტები ხილით დამძიმებულია, ხალხი თავისუფლად დადის, მაგრამ ხელს არავინ აწვდის ხილს მოსაწყვეტად. ჩვენში კი არაფერს თუ ხილსა მოსწყვეტენ, ღმერთმა იცის რას არ გიზამენ.

ხმა. თავს წაგაგლეჯენ.

გ. გვაზავა. ჩვენ არა გვაქვს საკმარისი შეგნება სხვისი უფლებისა და არ ვიცით მისი პატივისცემა. ამიტომაც ...